საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

08/09/2022
N 09-02-16/563

563-09-02-16-2-202209081651

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ბატონო არჩილ,

მოგესალმებით და გაცნობებთ, რომ ჩვენი ქალაქის ურბანული განვითარების თვალსაზრისით, თქვენს კომპეტენციაში შემავალი, რიგი, მიმდინარე საკითხების ანალიზისა და საფუძვლიანი შეფასებისათვის, მაქვს რა, პრაქტიკაში, კანონიერების განუხრელად დაცვაზე კონტროლის ვალდებულება, გთხოვთ, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად, კანონით დადგენილ ათდღიან ვადაში მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია და პასუხები შემდეგ კითხვებზე, კერძოდ:

- მერიის მუნიციპალური ქონებისა და სერვისების მართვის სამსახურში გამოქვეყნებულია ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების ელექტრონული ცხრილი. ჩემი ინტერესის საგანს წარმოადგენს თუ როგორ ხდებოდა (და ხდება) წარმოდგენილი ცხრილის ფორმირება, რომელშიც შეტანილია 124 საკადასტრო ერთეული.
- რა დაედო საფუძვლად ამ ცხრილის ფორმირებას - მდგომარეობის ვიზუალური მხარე, მიწის ნაკვეთზე განლაგებული უძრავი ქონების მესაკუთრეთა ამხანაგობების ინიციატივები, მშენებლობით და ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესებულ პირთა შემოთავაზებები, თუ სხვა რამ, ან ყველაფერი ერთად.
- არსებობს თუ არა, ამ ცხრილში, კონკრეტული საკადასტრო ერთეულის მოხვედრის კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი (მაგალითად, საექსპერტო დასკვნები), ვის მიერაა ამ ექსპერტიზის ჩატარების საკითხი ინიცირებული (მერია, ამხანაგობები თუ სხვა).
- რა თანხაა გადახდილი ბიუჯეტიდან საექსპერტო მომსახურების გაწევაში და ვის მიერ.

ვინაიდან, აღნიშნული საკითხი, ამ დროისათვის, გახლავთ აქტიური და ვვარაუდობთ მის კიდევ უფრო მეტად გააქტიურებას, აუცილებლად მიმაჩნია დეტალებში გარკვევა არა ჩემი

„ოპოზიციური ვნებების“ დასაკმაყოფილბლად, არამედ პროცესის სწორად შეფასებისათვის.

აქვე გთხოვთ, აღნიშნულ კითხვებთან დაკავშირებული, თქვენს ხელთ არსებული მასალების ჩემთვის მოწოდებას.

პატივისცემით,

მედეა ვასაძე

საბჭოს წევრი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები